

## სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“

სამოქალაქო განათლების პროგრამა

### „მომავლის თაობა“

ასოციაცია „ათინათი“ 2014 წლის სექტემბრიდან ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობას“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. პროგრამა საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს და 480 სკოლას უწევს დახმარებას სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით. სკოლებმა მიიღეს დამხმარე სახელმძღვანელოები, გადამზადდნენ სამოქალაქო განათლების პედაგოგები, ხდება მოსწავლეთა ხელშეწყობა სკოლისა და საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა საკლასო პროექტების განხორციელებაში და სხვა საქმიანობა სამოქალაქო განათლების გაძლიერების მიზნით.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**PH international**  
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



### საკლასო პროექტები

2015 წლის სექტემბერი-დეკემბრის პერიოდში სამეგრელოს რეგიონში პარტნიორი სკოლების მიერ განხორციელდა 12 საკლასო პროექტი შემდეგ თემებზე: ადრეული ქორწინება, ალკოჰოლი, გარემოს დაცვა, მომავალი პროფესიის სწორად არჩევა, ტრეფიკინგი და ძალადობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა. პროექტების განხორციელებაში კლასის ყველა მოსწავლე აქტიურად არის ჩართული. ისინი თანამშრომლობენ სხვადასხვა გადაწყვეტიების მიმღებ სტრუქტურებთან.

### მოსწავლეთა და პედაგოგთა ტრენინგები:

პროგრამის ფარგლებში ტარდება ტრენინგები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. 2015 წლის ოქტომბერ - დეკემბერში ჩატარდა 3 ტრენინგი თემებზე: გუნდური მუშაობა და ლიდერობა, ბავშვთა სოციალური და ფინანსური განათლება, რომელსაც 61 მოსწავლე დაესწრო. 12-მა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების ტრენინგ პროგრამა- დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“, რომლის მოდულებიც იყო: სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა და სკოლის როლი, ინტერაქტიული სწავლება, პროექტული სწავლება, შეფასების მეთოდები.

### სტაჟირება:

2015 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში ორმა მოსწავლემ გაიარა სტაჟირება „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ზუგდიდის ფილიალში. პროგრამა სტაჟირების კომპონენტის მეშვეობით ხელს უწყობს მოსწავლეებს სწორად გააკეთონ პროფესიული არჩევანი;

### მცირე გრანტი

2015 წლის ოქტომბრის თვეში გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში დაფინანსდა სსიპ ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლისა და სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის საჯარო სკოლის პროექტები. სსიპ ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები ახორციელებენ პროექტს „ერთად გავიცნოთ ევროპა“. პროექტის მიზანია საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება ევროინტეგრაციის საკითხებში. შედეგად, კი სკოლის ბიბლიოთეკის ბაზაზე გამოიყოფა კუთხე, სადაც განთავსდება ლიტერატურა ევროინტეგრაციის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება არამარტო სკოლის მოსწავლეებისთვის. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სამოქალაქო განათლების პედაგოგი ზიტა შულაია ახორციელებენ ინფრასტრუქტურულ პროექტს „უსაფრთხო გარემო“, რაც

ითვალისწინებს კიჩინის საჯარო სკოლის ეზოში ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას. პროექტის დასრულების შემდეგ სკოლის ეზოში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აუზი შემოიღობება და მოსწავლეებისთვის აღარ იქნება სახიფათო.

### **სოციალური მედია**

სოციალური მედიის კომპონენტში 21 მოსწავლეს ჩაუტარდა ორდღიანი ტრენინგი, რაც ემსახურებოდა ახალგაზრდებში სოციალური მედიის სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას, პირადი ელექტრონული ფოსტისა და ბლოგის შექმნაში. ეს ახალგაზრდები მონაწილეობას ღებულობდნენ პროგრამა „მომავლის თაობის“ მიერ გამოცხადებულ ბლოგების კონკურსში.

ჩატარდა თანატოლთა განათლების ტრენინგი სოციალურ მედიითემაზე, რომელსაც დაესწრო 59 მოსწავლე. ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა სოციალურ მედიაში სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა პედაგოგმა სამეგრელოს რეგიონიდან.

### **ტექნიკის კონკურსი+პედაგოგთა პირადი ჯილდო+პედაგოგთა ბანაკი**

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ცხადდება ტექნიკის კონკურსი, რომელიც გულისხმობს გამარჯვებული სკოლებისთვის ტექნიკის გადაცემას. გამარჯვებული სკოლები კი გამოვლინდებიან წლის განმავლობაში განხორციელებული საკლასო პროექტების ხარისხისა და ასევე კლასისა და პედაგოგის აქტიურობიდან გამომდინარე.

ტექნიკის კონკურსი ჩატარდება პედაგოგებისთვისაც და გამარჯვებულ პედაგოგებს პირად საკუთრებაში გადაეცემათ პლანშეტები.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ბანაკში სამეგრელოს რეგიონიდან გაემგზავრება 2 პედაგოგი.

### **ჯგუფური ვიზიტი და საინტერესო სტუმარი**

ასოციაცია „*ათინათის*“ მიერ ორგანიზება გაეწია 1 ჯგუფურ ვიზიტს და 1 შეხვედრას საინტერესო სტუმართან. . სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ჯგუფური ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) ზუგდიდის ფილიალში, სადაც ხელმძღვანელი მათ ესაუბრა მოზარდის უფლებებზე, მოვალეობებზე და სხვა მათთვის აქტუალურ თემებზე.

მოსწავლეები საინტერესო სტუმრის სტატუსით შეხვდნენ ახალგაზრდა აქტიურ მოქალაქეს სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის ანალიტიკოსს დავით ლოგუას, რომელიც ესაუბრა მათ აქტიური მოქალაქის როლზე.

პედაგოგები მოსწავლეებთან ერთად საგაკვეთილო პროცესის შემდეგ ინდივიდუალურად უწყვეტ ორგანიზებას მსგავს შეხვედრებს საკუთარ რაიონებში ცნობილ ადამიანებთან და ჯგუფურ ვიზიტებს წამყვან სტრუქტურებში.

ბიულეტენი მომზადებული და გამოცემულია ასოციაცია „*ათინათის*“ მიერ PH international –ის “პროგრამა “მომავლის თაობის” ფარგლებში.

დონორი აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) .

პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციები არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას, არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და აშშ მთავრობის მოსაზრებებსა თუ პოზიციებს